

ექსპერიმენტი „ხსნადი ჭიქები“

ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტი აჩვენებს, თუ რატომ ვხედავთ ჩვენ მინას.

საკვანძო სიტყვები

ოპტიკა, გარდატეხის მაჩვენებელი.

საჭირო მასალა

- დიდი ჭიქა
- პატარა ჭიქა (ისეთი ზომის, რომ დიდ ჭიქაში ჩაეტიოს)
- წყალი

ყურადღება! უსაფრთხოება ⚠:

ექსპერიმენტი უსაფრთხოა

განხორციელება

ვდებთ პატარა ჭიქას დიდ ჭიქაში. ვავსებთ პატარა ჭიქას წლით. შემდეგ დიდ ჭიქაში ვასხამთ წყალს და ვაკვირდებით რა ხდება.

განმარტება

როდესაც ჩვენ ვასხამთ წყალს გარე ჭიქაში, ჩვენ გვეჩვენება, რომ შიდა ჭიქა „იხსნება“. როგორც წესი, ჩვენ ნივთებს ვხედავთ იმიტომ რომ ისინი სინათლეს ირეკლავენ. იმ შემთხვევაში, თუ საგანი არის გამჭვირვალე და ატარებს სინათლის სხივს (მაგ. მინა), ჩვენ შეგვიძლია მისი დანახვა, რადგან ხდება სინათლის სხივის გარდატეხვა ჰაერი-მინის ან მინა-ჰაერის საზღვარზე. ეს იმიტოა





Fundacja Partners Polska



ბუნებრივად
საინტერესო
გაკვეთილი




CENTRUM NAUKI
KOPERNIK

განპირობებული, რომ მინას, ჰაერისა და წყლისგან განსხვავებული გარდატეხვის მაჩვენებელი აქვს. მაგრამ მაშინ, როდესაც ჩვენ წყლით სავსე ჭიქაში ვათავსებთ მეორე, ასევე წყლით სავსე ჭიქას, ორივე ჭიქას ექნება იდენტური გარდატეხვის მაჩვენებელი და შიგნით მოთავსებული ჭიქა ხდება უხილავი.



პოლონეთის დახმარება

 მასალა შემუშავებულია პროგრამა „ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილის“ მორიგი ეტაპების ფარგლებში, რომლებიც თანადაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავითარებისათვის თანამშრომლობის პოლონური პროგრამის ფარგლებში. პუბლიკაცია ქვეყნდება Creative Commons ლიცენზიის საფუძველზე 3.0 პოლონეთის ავტორობის მითითებით. უფლებებზე ლიცენზია ნაწილობრივ ეკუთვნის „პარტნიორები პოლონეთიდან“ ფონდს და კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრს.